

## ხურსიმე მოციქულის ვინაობისათვის

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ზაზა სხირტლაძემ ჩვენი ყურადღება მიაპყრო სამთავისის საკათედრო ტაძრის საკურთხეველში მოციქულთა შორის გამოსახულ ერთ ფიგურას, რომელსაც გარკვევით აწერია „ხ-რსიმე მც-ქლი“.

როგორც ცნობილია, საკურთხევლის მოხატულობა შესრულებულია XVII საუკუნეში მელიტონ სამთავნელის მიერ გივი ამილახორის შეკვეთით. ფრესკული წარწერები ორენოვანია: ქართული ასომთავრული და არაბული. ანალოგიური ორენოვნება შეინიშნება იმავე ხანის რამდენიმე სხვა ქართული ეკლესიის ფრესკების წარწერებსა და ფერწერულ ხატებზე.

რით აიხსნება XVII საუკუნის ქართულ ძეგლებზე არაბული წარწერების გაჩენა — ეს კითხვა დღევანდლამდე უპასუხოდ რჩებოდა. მხოლოდ ახლახან, ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებაში თამარ მესხმა დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ხსენებული არაბული წარწერები უნდა აიხსნას სინაის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ბერძენ მოწესეთა მოღვაწეობით საქართველოში. საისტორიო საბუთები მოწმობენ, რომ სწორედ XVII ს-ში სინელებს ქართველ მეფეთა და დიდებულთა მხარდაჭერით მეტოქეები და მამულები ჰქონიათ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, და აქტიურ საეკლესიო მოღვაწეობას ეწეოდნენ. არაბული კი, სინაის მთის მდებარეობის გამო, იქაურ მოღვაწეთათვის ლამის მშობლიური ენა იყო.<sup>1</sup>

მოციქულთა გამოსახულებანი სამთავისის საკურთხევლის მოხატულობის ორ რეგისტრშია განაწილებული: ზედა რეგისტრში, რომელიც უფლის ხორციტა და სისხლით ზიარებას ასახავს, ათორმეტი მოციქულია გამოსახული, ქვედა რეგისტრში კი — 70 მოციქულთაგანნი: ანანია, ეგნატე (ღმერთ-შემოსილი), სტეფანე (პირველმოწამე), დიონისე არეოპაგელი, იაკობ ძმა უფლისა, იუდა ძმა უფლისა და ლაზარე (მეგობარი ქრისტესი).<sup>2</sup> მათთანვე არიან გამოსახულნი გრიგოლი პართელი (სომეხთა განმანათლებელი) და გაურკვეველი ვინაობის „ხ-რსიმე მც-ქლი“.

1 თამარ მესხი, ხონისა და სამთავისის ეკლესიათა ფრესკების არაბული წარწერების წარმომავლობისათვის: საერთაშორისო კონფერენცია „ბიზანტინოლოგია საქართველოში - 3“, მოხსენებათა თეზისები, თბილისი-ახალციხე-ტაო-კლარჯეთი (25-30 სექტემბერი, 2009), 73-74. სამთავისის ფრესკების წარწერების ბერძნობები (მაგალითად, „არეოპაგელის“ ნაცვლად „არეოპაითი“) მოწმობს, რომ მოხატვაში ბერძენი ოსტატებიც მონაწილეობდნენ.

2 უფრო ქვედა რეგისტრი, ჩვეულებისამებრ, წმ. მღვდელთმთავართა გამოსახულებებს უკავია. ამჟამად ისინი ძალზე დაზიანებულია და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გივი სოხაშვილი, რომელმაც მონოგრაფია მიუძღვნა სამთავისის ხუროთმოძღვრებისა და კედლის მხატვრობის შესწავლას, „ხ-რსიმე“ ქარაგმას ხსნის ასე: „ხურსიმე“.<sup>3</sup>

მონოგრაფიაზე დართული სქემიდან ჩანს, რომ „ხ-რსიმე მც-ქლი“ გამო-სახულია „სიმონ ძმა უფლისასა“ და სტეფანე პირველმოწამეს შორის, მათ მოპირდაპირედ კი წმ. გრიგოლ პართელის, წმ. ლაზარესა და წმ. ლავრენ-ტის გამოსახულებებია (ტაბ. 45-46).

ვინაა „ხურსიმე მოციქული“ და როგორ მოხვდა მისი გამოსახულება სამ-თავისის საკურთხეველის ფრესკაზე?

იერარქიული რიგი, რომელშიც „ხურსიმე მოციქულია“ მოქცეული, ამ პირს გულისხმობს 70 მოციქულის შემდგომ, ალბათ „მოციქულთა სწორთა“ რანგში, რადგან იგი უშუალოდ მოსდევს გრიგოლ პართელს,<sup>4</sup> საკუთრივ მო-ციქულთა შორის კი, რა თქმა უნდა, მის ძიებას ვერ შეგუდებთ.<sup>5</sup>

„ხ-რსიმეს“ სახელი მოგვაგონებს ხრისოს, რომელსაც ზოგიერთი ავტორი საქართველოში მოღვაწე ერთ-ერთ სამოცდაათთაგან მოციქულად იხსე-ნიებს.<sup>6</sup>

ეს ის ხრისოა, რომელიც მოხსენიებულია წმ. სუქიასა და მის თანამოწა-მეთა („მესუკავეთა“) წამებაში. ხრისო ყოფილა არა 70-თაგანი მოციქული, არამედ მოწაფე იუდა მოციქულისა (სხვა ვერსიით — თადეოზისა), რომელიც საქართველომდე არ მოსულა, სომხეთშივე აწამეს, მაგრამ საქართველოს დაუკავშირდა იმდენად, რამდენადაც 19 ალბანელი დაიმოწავა.

მესუკავეთა წამება ქართულად თავდაპირველად IX-X სს-ში უთარგმნი-ათ სომხურიდან.<sup>7</sup> მეორე თარგმანი, საფუძვლიანად გადამუშავებული და მეტაფრაზირებული, ეკუთვნის ანტონ I კათალიკოსს (XVIII ს.), რომელმაც ეს თხზულება თავის „მარტირიკაში“ შეიტანა.<sup>8</sup>

3 გივი სოხაშვილი, სამთავისი (მასალები ტაძრის ისტორიისათვის), თბ., 1973 წ., გვ. 53-55.  
 4 მოხატულობის იმ რეგისტრში, რომელშიც „ხურსიმე მოციქულია“ გამოსახული, ფიგურები განლაგებულია ასეთი იერარქიული თანმიმდევრობით: ანანია მოციქული, იუდა ძმა უფლი-სა, წმ. სიმონი, გრიგოლ პართელი, ხურსიმე, ლაზარე, სტეფანე პირველმოწამე და წმ. ლავრენტი (გ. სოხაშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. 45-46).  
 5 ასეთი სახელის მქონე პირი მოციქულთა შორის არ იხსენიება არც ბერძნულ წყაროებში და არც ქართულში. იხ. Lipsius, Acta apostolorum apocrypha, ტ. I-II.  
 6 ხრისოს მოციქულებრივ ღვაწლს აღნიშნავს და საქართველოსთან აკავშირებს მიხეილ თამა-რაშვილი (იხ. მისი მონოგრაფია: „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“, თბ., 1995, 188). ხრისოს 70-თაგან მოციქულად იხსენიებს (მ. თამარაშვილის კვალდაკვალ) ეპისკოპოსი ანანი-აც: „არა მარტო 12 მოციქულთაგან, არამედ 70 მოციქულთაგანაც ყოფილან საქართველოში და უქადაგნიათ აქ. მაგალითად, ქართლის ქრონიკების თანახმად, ასეთი ყოფილა 70 მოცი-ქულთაგანი ხრისო, რომელსაც ალბანეთში (იბერიის ნაწილში იმ დროს) მოუწათლავეს 19 კაცი“ (ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I, ახალციხე, 1982-88 წწ.)  
 7 ადრინდელი თარგმანების შესახებ იხ.: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურ-ული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბ., 1944. აგრეთვე: ლ. მელიქსეთ-ბეგი, სუქაველნი ძველს ქართულ მწერლობაში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე VI, 1925; ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, I, 1935.  
 8 ეს თარგმანი პირველად დაიბეჭდა მ. საბინინის „საქართველოს სამოთხეში“ (გვ. 821-629), მეორედ — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში“ (ტ. VI, გვ. 340-352).

სავარაუდოა, რომ „მესუკავეთა“ („სუქიეთთა“, ე. ი. სუქიას მიმდევართა) საქართველოსთან დაკავშირება უძველეს დროშივე მომხდარა (საინტერესოა სომხური ვერსია, სადაც ხრისო და სუქია გაიგივებულები არიან: ხრუსო ოქროს ნიშნავს ბერძნულად, და სუქიაც, უფრო სწორად — ოსკი, ოქროსვე ნიშნავს სომხურად). ალბათ, ამიტომაც, ქართველები სხვა მოციქულებსა და მოციქულთა მოწაფეებზე უფრო მეტ პატივს მიაგებდნენ ხრისოს, რაც სამთავისის კედლის მოხატულობაშიც აისახა.

ვფიქრობ, ნიშანდობლივია, რომ სამთავისის საკურთხეველში „ბ-რსიმე“ (რაც, შესაძლოა, „ხრუსოს“ სახეცვლილებაა), წმ. მოციქულთა-სწორის, გრიგოლ პართელის მოპირდაპირე მხარესაა გამოსახული (გრიგოლ პართელი ხომ სომხეთის განმანათლებელია და, ერთ-ერთი გადმოცემით, საქართველოშიც უქადაგია!), ხოლო გრიგოლ პართელის გვერდით — იუდა მოციქულის ფრესკაა.

იუდასა და ხრუსოს (= „ბ-რსიმე“) წინ წამოწევა (რამდენადაც სხვა მრავალი მოციქული და მოციქულთა მოწაფე ფრესკაზე ვერ მოხვდა), შესაძლოა, იმის მაჩვენებელი იყოს, რომ ქართველთათვის ეს მოციქულნი ახლობელნი შეიქნენ მათი მოწაფეების (სუქიეთთა, მესუკავეთა) გამო, და საკურთხეველშიც ღირსეული ადგილი დაიკავეს.

ფრესკაზე წარწერილი სახელის ფორმა კი („ბ-რსიმე“), და მისი მიმართება ხრისოსთან შემდგომ კვლევას ითხოვს.

ამ ეტაპზე შეგვიძლია მხოლოდ შევნიშნოთ, რომ „ბ-რსიმე“ ქარაგმა, შესაძლოა, გაიშალოს არა მარტო „ხურსიმე“, არამედ „ხრუსიმე“ ფორმითაც (ამ შემთხვევაში უფრო აშკარა შეიქნებოდა მისი ნათესაობა „ხრუსოსთან“). და „ხურსიმეც“ რომ ყოფილიყო, ეს მაინც ვერ გამოირიცხავდა მის კავშირს „ხრუსოსთან“, რადგანაც სამთავისის ფრესკების წარწერებში ბევრი აშკარა შეცდომა იჩენს თავს,<sup>9</sup> და ერთ-ერთი შეცდომა ესეც რომ იყოს, გასაკვირი არ არის.

<sup>9</sup> შეცდომითაა წარწერილი, მაგალითად, გრიგოლ პართელის სახელი: „გრიგოლი პტელია“. შეცდომები, შესაძლოა, ბერძენი ოსტატის მიერ იყოს დაშვებული (იხ. აქვე, შენიშვნა 1).